პროლეტარიელებო ყველა ერთეულისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 90 (19881) შაბათი, 18 აპრილი, 1987 წელი. ● ფასი 3 კაპ.

მეევენახეები ცვლილებების ზღურბლზე

რესპუბლიკის მეევენახენი რთული და პასუხსაგები გამოცდის წინ არიან. დრომ მათ დაუსახა ახალი ამოცანები, რათა საბოლოო ანგარიშით მიაღწიონ კარდინალურ ცვლილებებს საქმიანობის ყველა სფეროში. იმაზე, თუ რამდენად სწორად და სწრაფად გარდაქმნიან დარგის მუშაკები თავიანთ მუშაობას, თითოეულის მოქალაქეობრივ პოზიციაზე, საქმისადმი კეთილსინდისიერ მიდგომაზე გადამწყვეტწილად დამოკიდებულია მევენახეობის შემდგომი ბედი.

მიმდინარე და მომდევნო წლების მოთხოვნების მიხედვით რესპუბლიკის მიწათმოქმედების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების გზები განიხილეს გურჯაანში გამართული თათბირის მონაწილეებმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ბითანავამ.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ფართო წრის პრობლემები მოიწიფდა მევენახეობაში. ისინი ეხება მის ყველა მხარეს — პროდუქციის წარმოებას, ტრანსპორტირებას, შენახვასა და გადამუშავებას, რეალიზაციას. ამავე დროს, როგორც თათბირზე აღინიშნა, დარგმა შარშანდელ სეზონში ვერ მიაღწია დაგეგმილ მოჯნებს. ყურძნის წარმოების გეგმები ვერ შეასრულეს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთელმა რიგმა მეურნეობებმა და რაიონებმა. მომზმარებელმა საბოლოო ანგარიშით ვერ მიიღო 60 ათასი ტონა ყურძენი.

ჩამორჩენა მით უფრო არამართლზომიერია, რომ დარგი, როგორც ეს ძირითადად ეყრდნობა ჩვენი ეკონომიკა, სახელმწიფოსაგან იღებს გვარიან დახმარებას, აქვს საკმარისი რესურსები. რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა დასტაფყვა. უამინდობა ყოველწლიურად ვახს საგრძნობ ზიანს აყენებს, მაგრამ დანაკარგები ამის შედეგად შეიძლება ნაკლები ყოფილიყო, უფრო მაღალი კულტურა რომ ჰქონდეს მიწათმოქმედებას, მჭიდრო და ნაყოფიერი იყოს მეცნიერების ურთიერთობა პრაქტიკასთან, მეტ პასუხისმგებლობას იჩენდნენ ხელმძღვანელები მოსავლის ბედისა და ხარისხისათვის.

გაანალიზეს რა მევენახეობაში შექმნილი საქმის ვითარება, ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ისეთ შემაშფოთებელ ტენდენციებს, როგორიცაა ფართობების შემცირება, ვენახების სიმეჩხრის გაზრდილი პროცენტი, ვაზის მოვლის შესუსტება და მეურნეობათა ხელმძღვანელების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, პარტიის რაიკომების კონტროლის შენელება დარგის განვითარებისადმი. ამის შედეგად რეგიონის რაიონებიდ დიდმა უმრავლესობამ შარშან ჩაფუშა ყურძნის წარმოების გეგმები. ამან და სხვა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა მეურნეობათა რენტაბელობაზე, მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკაზე.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს კახეთის მეურნეობათა ჩამორჩენა. ავიღოთ თუნდაც გურჯაანის რაიონი — რესპუბლიკის მევენახეობის ფლაგმანი. რაიონის ვენახების 11 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე გასულ საზონში მოსავალი 68 ათას ტონას ცოტათი თუ აღემატებოდა, მაშინ როცა გეგმა 75.400 ტონას ითვალისწინებდა. 21 კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან წარმოების გეგმები ვერ შეასრულა 12 მეურნეობამ. საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 68,5 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 74,8 ცენტნერის ნაცვლად. ვენახების სიმეჩხრემ მიაღწია 11 პროცენტს. და როგორც ამის შედეგი, მარტო სოფელ ველისციხის კოლმეურნეობამ და ახაშნის საბჭოთა მეურნეობამ დაკარგეს 3.190 ტონა ყურძენი.

მხოლოდ 57,6 პროცენტით შეასრულეს გეგმა თელავის რაიონის მეურნეობებმა, აქ საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 37,8 ცენტნერი — გეგმის ნახევარი შეადგინა. 20 მეურნეობიდან ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმები ვერ შეასრულა 19 მეურნეობამ. წითელწყაროს რაიონში 12 მეურნეობიდან თავი ვერ გაართვა დავალებას 6-მა, ყვარლის რაიონში — 12-დან 9-მ, საგარეჯოს რაიონში — 18-დან 14 მეურნეობამ. და ეს ნუსხა სულაც არ არის ამოწურული.

განა შეიძლება შევეურიგდეთ იმას, რაც ახმეტის რაიონში მოხდა, სადაც დაადგინეს სახელმწიფოს პირდაპირი მოტყუების, წამატებებისა და თვალის ახვევის გზას. უკეთესი მდგომარეობა როდი იყო ქართლის მეურნეობებშიც.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ მეტად მცირეა ვენახების მოსავლიანობა, დიდია სიმეჩხრე, სტაბილურად არ იზრდება ფართობები. მაგალითად, ამბროლაურის რაიონში ჩამოწურეს ორასამოდე ჰექტარი, გაშენებით კი მხოლოდ 14 ჰექტარი გააშენეს. ჩოხატაურის რაიონში უნიკალური ჯიშის ვაზის ჩხავერის ალორძინებისათვის შექმნეს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ მის 68 ჰექტარზე ჩხავერი მხოლოდ 14 ჰექტარზე გააშენეს. და მოსავალი დასახულზე ორჯერ ნაკლები მოიწიეს.

თათბირის მონაწილეებმა პრინციპული შეფასება მისცეს სიტუაციას და მოითხოვეს დაამყარონ წესრიგი დარგში, განამტკიცონ დისციპლინა, გარდაქმნან ყველა ქვეგანაყოფის მუშაობა. თითოეული ხელმძღვანელი პერსონალურად უნდა აგებდეს პასუხს ბრიგადისათვის, მეურნეობისა და რაიონისათვის.

დღეს განსაკუთრებით სჭირდება მევენახეობას ენერგიული და კომპეტენტური ხელმძღვანელები, რომლებსაც ეკნებათ ღრმა ეკონომიკური და აგრარული ცოდნა, იგრძნობენ დიდ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. მათ მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ შრომითი კოლექტივების დარაზმვას მევენახეობაში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ახალი მოჯნების მისაღწევად. ამასთან დაკავშირებით პარტიის რაიკომებმა და რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა უნდა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი წელს და მთლიანად ხუთწლედში ყურძნის წარმოების გეგმების უფუფო შესრულებისათვის. სამუშაოთა ზუსტი გრაფიკები უნდა ეკონდეთ მეურნეობებს, ბრიგადებს, რგოლებს. წარმოება ისე უნდა მოაწყონ, რომ სრული უკეგებით იყოს გამოყენებული ადამიანთა მატერიალური, ტექნიკური რესურსები, სხვა საშუალებები. ფართოდ უნდა გავრცელდეს მევენახეობაში გამომდგარი ალოჯახო იჯარა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სხვა მოწინავე ფორმები, სადაც თითოეულის მუშაობა ფასდება საბოლოო შედეგებით, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტით. ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს

(დასასრული მე-2 გვ.).

რევიზორი

ერ კიდევ სოციალისტური რევოლუციის გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური წყობილების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა აღრიცხვა და კონტროლი.

მატერიალური წარმოების მრავალნახნაგოვანი ამოცანების მაღალეფექტიანად გადაწყვეტის, გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენისა და სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის საქმეში, აღრიცხვა-ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი განეკუთვნება საუწყებო კონტროლის სისტემას, რომელიც ამავე დროს ერთ-ერთი საყრდენი ფაქტორია სახალხო მეურნეობის სწორი, ოპტიმალური მართვისა, გარდაუვალი პირობაა სოციალისტური საკუთრების დაცვისა, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა ნეგატიურ გამოვლინებათა აღმოსაფხვრელად.

იქ, სადაც ეს სამსახური მობილურია, დაკომპლექტებულია კომპეტენტური, პატიოსანი კადრებით, დიდი შედეგიანობაა, გადაკეტილია გაფლანგვა-განიავების, უყაირათობის არხები, შეეწიროებულია, შებოჭილია მომხვეჭელი, სახელმწიფო ხაზინის ჯიბეში ხელის ფათერაკის მოყვარული, საზოგადოების ხარჯზე გამდიდრების მოსურნე, კომბინატორი და საქმოსანი.

სამწუხაროდ, საუწყებო კონტროლის საქმიანობაში კიდევ ბევრი ნაკლია და ამის მრავალ მიზეზთა შორის უმთავრესია ის, რომ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი მითითებით, ეს სამსახურები ხშირად თავიანთ საქმიანობას წარმართავენ არა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებულ დარღვევა-დამახინჯებათა გამოვლენა-აღმოფხვრისათვის, არამედ მათი მიჩქმალვა-მიფუჩეჩებისათვის.

გასულ, 1986 წელს საუწყებო რევიზიებითა და შემოწმებებით გამოვლენილმა საფინანსო დისციპლინის დარღვევამ, სახელმწიფო სახსრების დაკარგვებითა და ფასეულობათა გაფუჭებით მიყენებულმა ზარალმა 30 მილიონ მანეთს გადააჭარბა, საიც 1984 წლის შესაბამის მაჩვენებელს თითქმის ერთი მესამედით, სოლო 1985 წლისას — 8 პროცენტით აღემატება.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ფაქტიური ზარალი გაცილებით მეტია, გამოუვლენელი რჩება ჯერ კიდევ ბევრი უწყების, დარგის, შრომითი კოლექტივის სავალალო საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა. ბევრი ორგანიზაცია შემოწმების გარეშეც კი დატოვებული. ურევიზიოდ ყველაზე მეტი ორგანიზაციაა დარჩენილი სახაგრომრეწვის, საავტომობილო გზების სამინისტროს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემებში.

წამატებებსა და სხვადასხვა ფორმით სახელმწიფოს მოტყუების შემთხვევებს ვხედავთ პრაქტიკულად სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, აგრეთვე არამატერიალური წარმოების სფეროში. სამინისტროებისა და უწყებების სარევიზიო აპარატი კი ძალზე სუსტად იჩრქვის ასეთ ძმიმე დანაშაულობათა წინააღმდეგ და ამით ფაქტობრივად ხელს უწყობს დამნაშავეთ.

უკონტროლობას და უყურადღებობას იქამდეც კი მივყავართ, რომ სარევიზიო აქტებში არ არის სასული საკავშირო ლენინური შაბათობის დღეებში გამოშუშავებული თანხების დანიშნულებისაებრ გადარიცხვის საკითხი, ხოლო რუსთავის სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ 1986 წლის შაბათობაზე გამოშუშავებული 1100 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადარიცხა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს მიერ ხელახალი შემოწმების შემდეგ.

განა ნიშანდობლივი არ არის, რომ კაპიტალურ მშენებლობაში დიდი ოდენობის წამატებანი ამსჯელეს არა საუწყებო რევიზიებმა, არამედ სხვა მაკონტროლებელმა ორგანოებმა.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სარევიზიო სამსახური, ისევე როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს სარევიზიო ჯგუფი, რევიზიებს უხარისხოდ, ზედაპირულად აწყობს, უგულებელყოფილია მათი კომპლექტურობა და საინვენტარო სამსახურის მონაწილეობა. ამიტომ მხედველობიდან რჩებათ პროგრამული საკითხები. არ ხდება მშენებარე ობიექტების ფიზიკურ მოცულობათა აზომვები და მათი შედარება დარდგენილ ანგარიშგებასთან, არ მოწმდება შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, მაშინ როცა არაუწყებო კონტროლის მუშაკებმა შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში გამოავლინეს დაახლოებით 2,2 მილიონი მანეთი წამატება და სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვანი ოდენობით გაფლანგვა-განიავება.

რევიზიების დროს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დეფიციტურულ-კრედიტორულ დავალიანებათა მდგომარეობის შესწავლასა და მათი რეალობის დადგენას, რის გამოც რევიზიები თითქმის ვერაფითარ დადებით გავლენას ვერ ახდენს ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამის შედეგია ის, რომ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს სწრაფი ზრდის ტენდენცია ახასიათებს, არ შეისწავლიან სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ინვენტარიზაციების სისწორეს, ანგარიშსწორებათა და ბალანსის სხვა მუხლების ინვენტარიზაციებს, წინასწარი ფინანსური კონტროლის მდგომარეობას. აქტებში არაფერია ნათქვამი მართვის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და ორგანიზაციების მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადაყვანისათვის მომზადების თაობაზე. დროულად არ ხდება რევიზიის შედეგების განხილვა. 1986 წელს 11 თვეში 14-დან განხილულია მხოლოდ 2 რევიზიის შედეგი.

სამწუხაროდ, სარევიზიო-საკონტროლო საქმიანობისადმი ასეთი უპასუხისმგებლო მიდგომა მრავალ სხვა სამინისტროსა და უწყებას ახასიათებს.

სარევიზიო სამსახურისადმი ზერელე მიდგომა იმითაც პოულობს გამოხატულებას, რომ მართვის ამ მეტად მნიშვნელოვანი რგოლის დაკომპლექტება ხშირად ისეთი კადრებით ხდება, რომლებსაც არავითარი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნიათ არც აღრიცხვაში და არც საკონტროლო საქმიანობაში.

რევიზორთა კადრების შერჩევის პრინციპები ირღვევა კავშირგაბმულობის სამინისტროში, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში, საქმოვარწყალმშენში, საქნავთში, სადაც რევიზორებს არა აქვთ საფინანსო-ეკონომიკური განათლება.

სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალურ აპარატში მომუშავე ყოველი მეოთხე რევიზორი სარევიზიო სამსახურში მოსულია ისეთი სამუშაოდან, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს რევიზიასთან. პურპროდუქტების სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსი რევიზორი „თბილისკანალტრესტის“ საავარიო ბრიგადიდან გადმოიყვანეს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სარევიზიო სამმართველოს განყოფილების უფროსი — „თბილისკვებეაჭრობის“ ინსპექტორის თანამდებობიდან, „საქმთავარნერგოს“ უფროსი ეკონომისტ-რევიზორი საწყობის ექსპედიტორი იყო, ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსის მოადგილე — „საქფეხსაცმელეაჭრობის“ ბაზის მეკუჭნავე, უფროსის მეორე მოადგილე მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა, მშენებლობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოში უფროს რევიზორად მიღებულია ფიზკულტურის მასწავლებელი, რევიზორად — დისპეტჩერი და ა. შ.

ეს და მრავალი მსგავსი ფაქტი იმას მოწმობს, რომ ამ მიზნად საჭირო დარგში დასაქმებულ მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილის კვალიფიკაციის დონე მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს.

ასეთ ვითარებაში გასაგები ხდება, რატომ არა აქვს რევიზიებს შემოქმედებითი ხასიათი, რატომ არ შეიცავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების წინადადებებს, რატომ არ ეფუძნება ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისა და საჯაროობის დამკვიდრების პრაქტიკას.

კონტროლიორ-რევიზორთა გარკვეული ნაწილის საქმისადმი გულგრილ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას უპირველესად ისიც უწყობს ხელს, რომ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელები სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა-განიავების ფაქტებს არ აძლევენ სათანადო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მორალურ-ეთიკურ შეფასებას, არ განიხილავენ მათ როგორც საგანგებო და საგანგაშო მოვლენას, არ ახორციელებენ განსაკუთრებულ ღონისძიებებს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად. არ ქმნიან სახელმწიფო საკუთრების მიმთვისებლების ირგვლივ შეურიგებლობის ატმოსფეროს.

მიმდინარე წლის 20 მარტს გამართულმა რესპუბლიკის პარტიულმა აქტივმა სამინისტროებსა და უწყებებს მკაცრად მოსთხოვა მკვეთრად გააქტიურონ მუშაობა სახელმწიფო ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის და გააძლიერონ ამ საქმეში საუწყებო კონტროლის როლი, საავალდებულო წესით განახორციელონ ანგარიშგების სარწმუნოების შემოწმება საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიების დროს.

რევიზორმა უნდა შეიგნოს, რომ იგი გარდაქმნის წინა ხაზზეა, რამეთუ მოვალეობის, წესრიგის, პატიოსნების მსახურია, პატიოსნება კი, პასუხისმგებლობის ძაფური გრძნობა, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია გარდატეხის, დაჩქარების, საჯაროობის საფუძველია.

დღეს შაბათობაა

ყოველი დამატებითი მანეთი სამშობლოს ძლიერებას, ხალხის კეთილდღეობას მოხმარდება

● **თბილისის** საინსტრუმენტო ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის ღირსეული შეხვედრისათვის, ეენინურ შაბათობაზე საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის. შრომითის მეტოქეობაში დაწინაურდა კომკავშირული ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც საღი შენადნობის ფირფიტებს ცვეთის საწინააღმდეგო ფენით ფარავს. ასეთი ფირფიტების მუშაობის ხანგრძლივობა 2,5-ჯერ იზრდება. ხორციელდება სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სხვადასხვა სახეობის ინსტრუმენტების საექსპოზიციო ვაგონის გაზრდას. ამ მხრივ თავისი საქმის ნამდვილი ოსტატის სახელი მოიხვეჭა ელექტროსპერატორმა გია ძამუკაშვილმა.

სურათზე: გია ძამუკაშვილი.
ფოტო. ჯ. იაკობაშვილის



● **ბორჯომი.** (საკ. კორ.). ახალდაბის ავეჯის ფაბრიკაში ფართო სამზადისი გაიშალა კომუნისტური შაბათობის ორგანიზებული მოწყობისათვის. ამ დღეს სამუშაოდ გამოვა 495 კაცი, აქედან პროდუქციის შექმნაზე 300-მდე კაცი იმუშავებს. მეავეჯეთა კოლექტივში 18 აპრილს 26 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია შეიქმნება, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 2.000 მანეთი.

◆ **შაბათობაზე** საპატიო და პასუხსაგები სამუშაოს შესრულების უფლება მიენიჭათ ნაწილის საუკეთესო მეომრებს. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ომის გმირებისა და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსის შექმნაში.

◆ **ჟუთაისი.** 18 აპრილს მშენებლობებზე 9 ათასზე მეტი მშენებელი-მემონტაჟე გამოვა სამუშაოდ, ტრანსპორტის მუშაკები კი 22 ათას მგზავრს გადაიყვანენ, გადაზიდავენ 380 ათას ტონამდე სახალხო-სამეურნეო ტვირთს.

დაზოგილი ელექტროენერგიითა და მასალებით იმუშავებენ ქალაქის სამრეწველო საწარმოები. მათ შორის — მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანის, საკონსერვო ქარხნისა და ცხიმკომბინატის შრომითი კოლექტივები.

შაბათობის დროს ეკონომიის ხარჯზე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა 60 ათას მანეთს გადაჭარბებს. სულ ქუთაისელები მილიონ 735 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში 175 ათასი მანეთი გადაირიცხება.

კოსმოსურ ვახტზე

ფრენის მართვის ცენტრი. კოსმონავტები იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი განაგრძობენ დაგეგმილ ოპერაციებს „კვანტ“ ასტროფიზიკური მოდულის გადასაყვანად პილოტირებული ფრენის რეჟიმში.

დღეს, კერძოდ, კოსმონავტებმა დაამონტაჟეს „კვანტ“ მოდულით მიღებული ახალი ელექტრონული ბლოკი, შეამოწმეს მისი ფუნქციონირება საბორტო გამომთვლელი მანქანის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

დუმბაძეს ხატიჯე შაპბაზის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

შაინიძეს ნანი ჰაფიზის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 18 აპრილი.

ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ, ვისწავლოთ ლენინურად

საკავშირო ალკა XX ყრილობა

16 აპრილს გრძელდებოდა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო ალკა ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის მანქანათმშენებელი საწარმოო გაერთიანების „ალუტის“ ზეინკალი **ნ. პროხოროვი,** სომხეთის ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. აკოფიანი,** ალტაის მხარის ზაონისკის რაიონის კოლმეურნეობის „გამარჯვების გზის“ თავმჯდომარე **ა. პოსხოვი,** უზბეკეთის ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ნასხოროვი,** მორდვეთის სსრ ალკა კრასნაია სლობოდის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ელინი,** ლოლდავეთის ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ბუფენიცა,** ყაზანის 2 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე **ა. ზუბრინკინი,** ტიუმენის ოლქის ფასავლეთ ციმბირის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის შტაბის უფროსი **ს. პოტაპენკო,** კომკავშირის ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. დენისოვი,** ესტონეთის ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ალმანი,** ყალინინის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის კომბინატის მქსოველი **ვ. ვიშნიაკოვა,** ყაზახეთის ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ს. კონდიბაევი.**

დელეგატებს გულთბილად მიესალმნენ ყრილობის საზღვარგარეთელი მონაწილეები: სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **ოიუნეფ სკალა,** ახალგაზრდობის დიმიტროვის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ანდრია ბუნჭულოვი,** უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველი მდივანი **ჩაბა ხაბორი,** ხოში მინის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვუ შაო,** თავისუფალ გერმანელ ახალგაზრდათა ცენტრალური საბჭოს პირველი მდივანი **ებერჰარდ აურიხი,** კორეის სოციალისტური შრომითი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ცოი რენ ჰე,** კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ეროვნული კომიტეტის პირველი მდივანი **რობერტო რობაინა,** ლაოსის სახალხო რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **თპონგვან ფომვიხანი,** მონღოლეთის ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის პირველი მდივანი **ცერენდორჟიინ ნარანგერელი,** 19 ივლისის სახელობის სანდინისტური ახალგაზრდობის კავშირის (ნიკარაგუა) გენერალური კოორდინატორი **პედრო ურტადო,** პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოციალისტური კავშირების დელეგაციის ხელმძღვანელი **ეფი შმაიძინსკი,** რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნიკუ ჩაუშესკუ,** ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **

პარტიული ცხოვრება

გარდავიქმნათ არა სიტყვით, არამედ საქმით

აპარის მთელ რიგ საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი არასაკმაოებამ ყურადღებამ განაპირობა ჩამორჩენა ტექნიკურ განვითარებაში და თვით წარმოების დონის დაქვეითებაშიც. ამაშია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, გეთმოსშენებელი, სატრანსფორმატორო, ჰორობის ინერტული მასალების ქარხნების აოარიტმული მუშაობის მთავარი მიზეზი, — ითქვა პარტიის აპარის საოლქო კოოიტეტის პლენუმზე. პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამოდ ავტოოოიეური რესპუბლიკის აპოუალური ორგანიზაციის აპოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუოოს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ხ. ემირიძის მოხსენებაში და გამოსვლებში აღინიშნა, რომ სერიოზული ჩამორჩენაა სოფლის მეურხეობაშიც. ამასთან, ნაკლოვანებები და დარღვევები დარგში ძირითადად დაკავშირებულია აგრომრეწვის ხელმძღვანელი კადრების სუსტ მოზადებასთან.

ალეიუმის მონაწილეებმა ამხილეს სერიოზული ნაკლოვანებები კადრების მომზადებაში და კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საკადრო პოლიტიკის სრულყოფის, აძ საქმისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების თაობაზე.

ალეიუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი გ. მ. კოზირევი.

კრიტიკულად მოვეკიდოთ მომწიფებულ პრობლემებს

ბაიკართა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოიტეტის პლენუმი, რომელიაც გაიიიილა სკკა ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის ალეუიუმის გადაწყვეტილების ძიხედვით გაოდაეიია გაოოოავებია, კადრებთან ეუშაობია გაუეჯოიეეეიის საემეი ავტოოოიეიეი ოლქის კოოუხისტთა აძოცაება.

მოხსენებელმა — საქართველოს კოოაიაოეის ცენტოალური კოოიტეტის ეიეუოოის ეეეოოობის კაადიდატმა, აოტეიის საიხრეთ ოსეთის საოლქო კოოიტეტის პიოველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა და ოოატორებმა აღნიშვეს, ოოოძ სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ ავტონომიურ ოლქში ძლიეოდება პოზიტიური ტეადენციები, ჯაიისადდება ხეეიბრიეი ატმოსფეოო, ძკვიდრდება საკაუობის, კოიტიკის, ბერგალიანობისა და ძეოოკოეედებია ვითარება, იზრდება კადოებისადეი ძოთხოოვეულობა.

ამასთან ერთად, პლენუმზე ხაზი გაეესვა, ოოძ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუძაობა ჯერ კიდევ არ ბეეეაბამება სადღეეისო აოოცანებს, ოოგოოც ეს აღინიშნა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოიტეტის ძუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში.

(საკინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის წინ

დაჭდიოთ უნჭეგრიობა

ეოიფიფეაული პრობლემების გადაწყვეტისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ უმოკლეს ვადებში განვითარების თვისებრივად ახალ დონეს უნდა მიაღწიოს მთელმა სახალხო მეურნეობამ. ასეთი დიდი ამოცანების განხორციელების პირობებში უმნიშვნელოვანეს როლს იძენს მეცნიერება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში უფრო ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას, აკადემიის ინსტიტუტებში, დარგობრივ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და საწარმოებში უნდა შეიქმნას იმის შესაძლებლობა, რომ ყველა მაქსიმალურად დაინტერესდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით. სწორედ ადამიანის ფაქტორის გააქტიურება განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა სახალხო მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებას, გარდაქმნას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ქიმიური მეტალიზაციის სამეცნიერო ცენტრში დამუშავდა სხვადასხვა დიელექტრული და ნახევარგამტარიანი მასალების მეტალიზაციის პროგრესული მეთოდები. ეს საშუალებას იძლევა ვერცხლი და ოქრო შეეცვალოთ ნიკელფოსფორული, შენადნობით, მკვეთრად შეამციროთ ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივობა და ელექტროენერგიის ხარჯვა. ცნობილმა მეცნიერებმა, აგრეთვე მრავალმა უწყებამ მხარი დაუჭიერეს ამ სიახლეს, მაგრამ ზოგიერთმა უარყო იგი. ასე განსაჯეთ, ალქიმიკოსობაც კი დაგვწამეს. ასეა თუ ისე, მაინც შევძელით დაგვემყარებინა კონტაქტები ზოგიერთ ინსტიტუტსა და საწარმოსთან, განსაკუთრებით გვიწყობდნენ ხელს მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების ენთუზიასტები. მათგან, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიის გამოცდისა და გამოყენების ხელშემწყობი ჯგუფები და ჩვენ მიერ შეთავაზებული მეთოდები დაინერგა კვარცის რეზონატორებისა და ფიეტრების სერიულ წარმოებაში, ფერადი ტელევიზორების პიეზო-კერამიკული ხაზების, ინტეგრალური სქემების, ფოტოშაბლონებისა და ზედაპირულ-აკუსტიკურ ტალღებზე ნაკეთობების, კერამიკული მიკროფილების, რეზისტორებისა და სხვათა სერიულ წარმოებაში.

ჩვენ მიერ შექმნილ სიახლეს აქტიურად დაუჭირეს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და გაზეთმა „პრავდამ“, ცნობილ მეცნიერთა დასკვნებში აღინიშნეთა, რომ ქიმიური მეტალიზაციის სამეცნიერო ცენტრის მიერ განხორციელებული ფიზიკურ-ქიმიური კვლევის კომპლექსის საფუძველზე ძვირფასი ლითონების იკონომიის მიმართულებით საბჭოთა კავშირმა ბევრ განვითარებულ ქვეყანას გაუსწრო. ამ სიახლემ საშუალება მოგვცა მრავალი სახეობის პროდუქციის წარმოების დროს პირველად დაგვეზოგა არა მარტო ძვირფასი ლითონები, არამედ ტექნოლოგიიდან გამოგვერიცხა შხამიანი ნივთიერებების გამოყენების აუცილებლობა. საწარმოო ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე პროდუქციის მიღების შესაძლებლობა ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო დამზადებული პროდუქცია მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს შეესაბამება.

ამყამად ზოგიერთი შემუშავებული პროცესი პარტნიორობის ხელშეკრულების საფუძველზე თბილისშიც დაინერგა. „თბილისხელსაწყოს“ ქარხანაში, მაგალითად, რამდენიმე კილოგრამი ვერცხლი მნიშვნელოვნად იაფი ლითონით შეიცვალა და მთლიანად აღმოიფხვრა შხამიანი ნივთიერებების გამოყენება მიკროსადენებიანი რეზისტორების დეტალების დამზადების დროს. როგორც ქარხნის სპეციალისტები და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს მეთაური ინსტიტუტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მიკროსადენების საფუძველზე ხელსაწყოებისა და ელემენტების წარმოების პრაქტიკაში ასეთი მეთოდი პირველად შემუშავდა და დაინერგა დარგში. პროგრესული ტექნოლოგიის საფუძველზე ქარხანაში დამზადდა დაახლოებით ორი მილიონი დეტალი.

ასეთია ერთობლივი მუშაობის შედეგი, რომელსაც საფუძვლად უდევს პარტნიორობის ხელშეკრულება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის არსებული ქიმიური მეტალიზაციის სამეცნიერო ცენტრის მიკროელექტროძრავების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქარხანა „თბილხელსაწყოს“ სპეციალისტებსა და თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიაღმასკომის დარგთაშორის ტერიტორიულ გაერთიანებას შორის. ჩვენ მიერ შემუშავებული სიახლეები ინერგება რესუბლიკის სხვა საწარმოებშიც.

მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიის ფართო დანერგვას კიდევ ბევრი ხელშემშლელი მიზეზი აქვს. ეს გვფიქრობინებს, რომ აუცილებელია კოორდინაციის გაძლიერება აკადემიური, სასწავლო და დარგობრივი ინსტიტუტების მეცნიერებსა და ქარხნებს შორის.

იმისათვის, რომ უფრო ადვილი სამართავი გახდეს მეცნიერების, კონსტრუქტორებისა და მწარმოებელთა შემოქმედებითი ძიებიდან, ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს შეუძლია შექმნას დარგობრივ-რეგიონალური მასშტაბით არა მარტო წარმოებასთან მეცნიერების კოოპერირების მოძრავი ფორმები, გაერთიანოს მეცნიერებისა და სხვადასხვა დარგის წარმოების მუშაკთა ძალები, არამედ გააქტიუროს ადამიანის ფაქტორიც მომწიფებული პრობლემების გადასაწყვეტად.

წარმოებაში გამოკვლევათა შედეგების დანერგვის დაჩქარების მიზნით სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს შესაძლებლობა ექნება დაუკავშიროს ერთმანეთს კვლევა, ახალი მოწყობილობის შექმნა და საცდელი პარტიების დამზადება. ამით საშუალება მოგვეცემა საგრძნობლად შევამციროთ მუშაობის სტანდარტული ციკლის: ძიება-კვლევა-ტექნოლოგიის შემუშავება-დანერგვა. სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მთავარი ამოცანაა განვითარების ინტენსიური, და არა ექსტენსიური გზით მიაღწიოს ახლო მომავალში თანამედროვე მსოფლიო დონეს.

იგი კოორდინაციას გაუწევს ფუნქციური ჯგუფების მუშაობას და შესაძლებლობა ექნება ადვილად გადალახოს უწყებებს შორის არსებული დაბრკოლებები, არსებითად დაბრდის სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის გამგებლობაში არსებული ხელსაწყოების გამოყენების კოეფიციენტს. ასეთ პირობებში ფუნქციური ჯგუფები ერთმანეთს დაეხმარებიან, მათ მტკიცე კავშირი ექნებათ პროდუქციის სახელმწიფო მიღების მუშაკებთან. ამავე დროს ჯგუფები მოვალენი იქნებიან იკისრონ კოლექტიური პასუხისმგებლობა სხვადასხვა უწყების საწარმოებში მალფარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

ამ შემთხვევაში, მეცნიერები და წარმოების მუშაკები, რომლებიც მრავალდარგობრივ კომპლექსურ პარტნიორობას ახორციელებენ, მორალურ და მატერიალურ დაინტერესებას გამოიჩენენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის დაჩქარებისათვის არა მარტო თავიანთ ორგანიზაციებში, არამედ მონათესავე დარგებშიც.

ზემოაღნიშნულის გარდა, ამგვარი საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებები საშუალებას მოგვცემენ სრულყოფილ სტუდენტთა მიზნობრივი მომზადებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების საკითხები, უფრო მეტად დავაინტერესოთ ისინი პროფესიული ოსტატობის ამაღლებაში, ჩავაბათ ტექნოლოგიის შემუშავების ყველა სტადიაში — სამეცნიერო იდეით დაწყებული და წარმოებაში კვლევის შედეგების დანერგვით დამთავრებული. ეს, ცხადია, დიდად შეუწყობს ხელს ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არის მეცნიერებათა აკადემიის სისტემისა და დარგობრივი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები და საწარმოები, რომლებიც დაინტერესებული არიან ძვირფასი ლითონების შეცვლით და ზზამიან ნივთიერებათა გამოყენების გამორიცხვით. მათ გადაწყვიტეს თავიანთ სპეციალისტთა თანამშრომლობის საფუძველზე საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნან ზემოთ შემოთავაზებული საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება, რომელსაც მეცნიერულ-მეთოდიკურ ხელმძღვანელობას ქიმიური მეტალიზაციის სამეცნიერო ცენტრი გაუწევს. აქვე დავძენთ, რომ საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება გაცილებით მოქნილი და მობილური იქნება, ვიდრე ახლა ჩვენს ქვეყანაში მოქმედი საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები.

იმ შემთხვევაში, როცა მონათესავე საწარმოებსა და ინსტიტუტებს დადასაჭრელი იქნებათ ლოკალური, გადაუდებელი პრობლემები, საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებები გაცილებით ხელსაყრელ პირობებს შექმნიან, ვიდრე ამყამად არსებული ნაკლებად მოქნილი საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები.

მეოვენახეობის ცვლილებების ზღურბლზე

მასალების ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ძვირფასი უნიკალური ჯიშის ყურძნის ფართო გავრცელებას, ეფექტიან ბრძოლას ვენახების სიმეჩხრის, ვაზის დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ. აქაც, როგორც თათბირზე აღინიშნა, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული მეცნიერთა და სპეციალისტთა წვლილზე დარგის განვითარებაში, მათ აქტიურ პოზიციაზე, წარმოებასთან უფრო მჭიდრო და საქმიან ურთიერთობაზე. ამ საქმეში არ უნდა იყოს ფორმალიზმი, მით უმეტეს, რომ წარსულში მევენახეობის აღმავლობისათვის, კერძოდ, სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის დახარჯულ დიდძალ სახსრებს სათანადო უკუგება არ მოუტანია.

ბევრს ელიან მევენახეები სეტყვის საწინააღმდეგო, სტიქიის ზემოქმედებისაგან ვაზის დაცვის სხვა სპეციალიზებული სამსახურებისგან. საჭირო კალაპოტით უნდა წარმართოთ სარგავი მასალის წარმოებისათვის მუშაობაც, ყველაფერი ვიღონთო, რათა მეურნეობები მთლიანად იყვნენ უზრუნველყოფილი მაღალხარისხოვანი ნერგებით. უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე საადრეო და სუფრის ჯიშის ყურძნის მოვლა-მოყვანის არეალის გაფართოებისათვის, პრაქტიკაში დავნერგოთ ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნოლოგიები, შუშაობის სხვა მოწინავე ფორმები, ფართოდ გამოვიყენოთ საუკეთესო შრომითი კოლექტივების გამოცდილება, თავგადაჩენილთა მატერიალური წახალისების ღონისძიებანი.

თათბირზე გაიმართა საგნობრივი სჯა-ბაასი გადამშუშავებელი მრეწველობის შესახებაც, სადაც ასევე ბევრი ხარვეზი, გამოყენებელი შესაძლებლობაა. საქმე ეხებოდა უწინარეს ყოვლისა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, სავალდებულო წესით პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას.

თათბირის მონაწილეებმა მოითხოვეს მთლიანად აღმოიფხვრას ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ჯერ კიდევ არის გადამშუშავებელ მრეწველობაში. აქ ჯერ კიდევ არ გამხდარა გარდაქმნა დომინირებული ფაქტორი. და თუმცა ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელებმა, რომლებიც ცდილობენ ფეხი აუწყონ დროს, შეძლეს გარდაექმნათ მუშაობა ახლებურად, მოეგვარებინათ ხარისხიანი ნაწარმის გამოშვება რომორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზრებისათვის, შეეცვალათ ღვინის ქარხნების ნაწილის პროფილი ვიტამინიანი წყენების გამოსაშვებად, რომლებზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა, მიუხედავად ამისა, აქ სათანადო წესრიგი უნდა დამყარდეს.

პოზიტიური მაგალითი შეიძლება იყოს ლილოს ახალი საექსპერიმენტო ქარხანა, რომელმაც შეიცვალა პროფილი და წინათ დასახული ალკოჰოლიანი სასმელების გამოშვების ნაცვლად მოაგვარა მაღალხარისხოვანი წყენების წარმოება. ამეამად საწარმოს, რომლის პროდუქციამაც მოკლე ვადაში მომხმარებლის მადლიერება დაიმსახურა, მიზნად აქვს დასახული დაკმაყოფილოს თბილისელთა მოთხოვნილება ყურძნის პროდუქციაზე.

თათბირზე შეეხნენ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებსაც, მისმა მონაწილეებმა განსაზღვრეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციის წარმოების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. აღინიშნა, კერძოდ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის სავარგულების გამოყენებას მოსახლეობის პირადი სარგებლობის პირუტყვის საძოვრებად.

მაგრამ გარდაქმნა, თქვეს თათბირის მონაწილეებმა, ლიტონი სიტყვა არ უნდა იყოს. იგი უნდა განმტკიცდეს ენერგიული და დადამწყვეტი საქმეებით, ინიციატივითა და გერგილიანობით. უფრო გაბედულად უნდა წარმართოთ საკადრო პოლიტიკაც. მოვაწესრიგოთ პროდუქციის რეალიზაციის, ვაჭრობის, ბაზრებზე ფასწარმოქმნის საკითხები. საჭიროა მოვაგვაროთ ყურძნის ვაჭრობა.

თათბირმა განსაზღვრა მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში მომდინარე წლისა და ხუთწლედის საქმიანობის კონკრეტული პროგრამა, დარგის რენტაბელობის, ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის გზები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჰ. გ. გილაშვილი, ო. ე. ჩერქეზია.

(საკინფორმი).

ჩვენი მიმოხილვა

ზეპირ არ შევანელოთ!

ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების პირველი კვარტალის დავალების შესრულება რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობის მიხედვით

პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვა უმეტეს რაიონებში ურიგოდ არ მიმდინარეობს. ამიტომ არის, რომ წლევანდელი პირველი კვარტალის დავალება რესპუბლიკაში დამაიმედებელია — გადამტებები შესრულდა ხორცის, რძისა და კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება.

ხორცის დამზადების პირველი კვარტალის დავალება რესპუბლიკაში 103 პროცენტით შესრულდა, რძისა — 102 პროცენტით.

ხორცის დამზადების პირველი კვარტალის დავალება გადამეტებით შეასრულეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, აგრეთვე აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, ვალეს, გარდაბნის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დმანისის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ქარელის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, ხაშურის, ხობის, ცაგერის, წალენჯიხის, წითელწყაროს, წულუკიძის, ცხაკაიას, ჭოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონების, წყალტუბოს და ტყიბულის ზონების მეცხოველეებმა.

რძისა და კვერცხის დამზადების გეგმა უმრავლესი რაიონების მეცხოველეებმა გადამეტებით შეასრულეს. მაგრამ არიან ჩამორჩენილი რაიონებიც. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეცხოველეებმა ხორცის (პირუტყვისა და ფრინველის) დამზადების პირველი კვარტალის გეგმა 93 პროცენტით შეასრულეს, აქ რძის დამზადების გეგმაც არ შესრულებულა, ხოლო კვერცხისა — 114 პროცენტით შესრულდა. ხორცის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა ვერ შეასრულეს აგრეთვე ადიგენის, ბოგდანოვკის, გორის, დუშეთის, კასპის, მარნეულის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წალკის რაიონებისა და ჭიათურის ზონის მეცხოველეებმა.

რძისა და კვერცხის დამზადების გეგმა ვერ შესრულდა ქარელის, კასპის რაიონებში; რძის დამზადების კვარტალის გეგმა არ შეესრულებიათ მარნეულის, ონის, ხაშურის, ხობის, წალკის რაიონებს, კვერცხისა — აფხაზეთის ასსრ, ქარელის, კასპის, თიანეთისა და ცაგერის რაიონებს.

მზადდება კლენუმი: შენი აზრი, მკითხველო?

ჩვენი პარტია დროულად, ძალზე მწვავედ და სამართლიანად აყენებს საკითხს — უნდა გარდავიქმნათ არა მარტო ზნეობრივად, არამედ მეურნეობრივადაც, თანაც რაც შეიძლება სწრაფად, გონივრულად. ხელმძღვანელი, რომელიც ფეხს ვერ აუწყობს ახალ მოთხოვნებს, ახალ ტემპს, ან თვითონ უნდა დატოვოს პოსტი, ან პირდაპირ ვუთხრათ: ჩვენ არ გვაკმაყოფილებს თქვენი მუშაობა, მონახეთ სხვა ადგილი. რაც უფრო დროულად ვიზამთ ამას, მით უფრო დროულად მოხდება არსებითი ძვრები.

მეორე საკითხი, რაზეც ჩემი აზრით, ყურადღება უნდა გაამახვილოს პლენუმმა, მეცნიერულად დასაბუთებული, რეალური გეგმების დაშვებაა, რომელიც დაფიქრებდა, გამოაფხიზლებდა ზოგიერთ ხელმძღვანელს, სპეციალისტს, მაგალითად, როცა ლაგოდეხის რაიონში ამ ორი წლის წინათ 7.000 ტონა თამბაქოს ნედლეულის მიღება დაიგეგმა, ერთი სჯაბაასი გაჩაღდა: გეგმა არარეალურია, მისი შესრულება შეუძლებელია და ა. შ. მაშ, როგორ მივაღწიეთ 9.000 ტონა ნედლეულის მიღებას? მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა!

ე. დუკმასოვი,
ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელების ცვლასთან ერთად იცვლებოდა მუშაობის სტილი, ხასიათი, მიმართულებები, ბრძანებები, უქმდებოდა სამსახურები, იქმნებოდა ახლები, ხოლო მიზნები და ამოცანები იგივე რჩებოდა. ასეთ მოუმზადებელ ცვლილებებს კანონიერების განმტკიცებისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. სასურველია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ცვლილებების მიზანშეწონილობა განხილულ იქნეს ძირეულ რგოლებში — ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებში.

ვ. მსხილაძე,
სამტრედიის საგზურის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი.

სტალინის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტის მდივნად ვმუშაობ. წლების მანძილზე ამავე შახტში ვმუშაობდი მუშად, ბოლო პერიოდში კი სხვადასხვა სამეურნეო თანამდებობაზე. ჩემი საერთო მუშაობის პერიოდში ხუთი დირექტორი შეიცვალა. ბევრ მათგანს თავისი სურვილით როდი დაუტოვებია თანამდებობა. ზოგიერთებს ხსნიდნენ, რადგან ვერ ამართლებდნენ ნდობას. მაინც რა შეცდომები იყო კადრების შერჩევაში?

შახტში ჩემი მუშაობის მთელ პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ახალი დირექტორის შერჩევისას საქალაქო კომიტეტი ან გაერთიანება „საქნახშირის“ ხელმძღვანელები მოთათბირებოდნენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს, გაეგოთ მათი აზრი. არათუ რიგით კომუნისტებს, არამედ შახტის პარტიულ კომიტეტსაც არაფრად თვლიდნენ.

ს. კაპანაძე,
გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის კომუნისტი.

პარტიული მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟი მაქვს, კარგა ხანია პარტიული კომიტეტის განთავისუფლებული მდივანი ვარ და საჭიროდ მიმაჩნია, ახალი ხელმძღვანელის დანიშვნამდე მოვეთათბიროთ შრომითს კოლექტივს, კომუნისტებს, პარტიული კომიტეტის წევრებს. ასეთი მიდგომა, ვფიქრობ, საქმეს არ გააფუჭებს.

ჩვენს შახტში ოცდაათამდე ბრიგადირი და საეკსპლოატაციო უბნის უფროსი მუშაობს. მოდით მათ ნუ დავნიშნავთ ერთპიროვნულად. უკეთესია ისინი ავიჩიოთ. კოლექტივის წევრებმა უკეთესად იციან, თუ ვინ რით სუნთქავს, ვის რა შეუძლია, ვინ რას წარმოადგენს.

ხელმძღვანელის არჩევის მეთოდზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ყურადღება გაამახვილა, მაგრამ პარტიის ეს მითითება ჯერჯერობით პრაქტიკულად ყველგან და ყოველთვის როდი ხორციელდება. მოდით, ნუ დავალოდებთ ზემოდან მითითებებს, ჩვენ თვითონ ვიმოქმედოთ გაბედულად!

შ. გურგენიძე,
ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც წლების განმავლობაში ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, პასუხს უნდა აგებდეს არა მარტო ზემდგომი ორგანოების, არამედ უწინარესად, თავისი საკუთარი კოლექტივის წინაშეც. კოლექტივს უფლება უნდა ჰქონდეს დაუყოვნებლივ გადაირჩიოს ასეთი ხელმძღვანელი და არ უყურაოს ვაი-ხელმძღვანელის ცოდვილობას არჩევნებიდან არჩევნებამდე.

გ. კიკნაძე,
ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის მეკვნესოვნის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ვფიქრობ, და დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რა მოტივით ხდება ხოლმე რაიკომის პირველი მდივნის ერთი რაიონიდან მეორე რაიონში რაიკომის პირველ მდივნადვე გადაყვანა. თუ იგი, სპეტაკია, დაე დარჩეს იმავე რაიონში, თუ არადა, ადგილების გაცვლა-გამოცვლა რა ბედენაა?

ლ. კვიტატიანი,
სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეთამბაქოე.

საკადრო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიმაჩნია, რომ ხელმძღვანელი მუშაკის დაწინაურების დროს მისი საქმიანი თვისებების შეფასებისას მხედველობაში მივიღოთ ის გარემოებაც, თუ როგორ იმუშავა მან თავისი რეზერვის მოსამზადებლად. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება, რომ ამა თუ იმ რანგის ხელმძღვანელ მუშაკს ვაწინაურებთ, სათანადო რეზერვის მოუმზადებლობის გამო კი თანამდებობა ხანგრძლივი პერიოდით ან ვაკანტურია, ან არადა, სხვა ორგანიზაციიდან მოპაყავთ კადრი.

თ. ბაჩეჩილაძე,
ქუთაისის რეზინტექნიკური ნაკეთობათა ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილების უფროსი ოსტატი.

წინადადებები, შენიშვნები

ალსაბრიბ ძალთა თანაფარდობისა და კონკრეტული ისტორიული ვითარების შესაბამისად ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები დღეიდან სრულყოფდნენ სოციალისტური რევოლუციის სტრატეგიასა და ტაქტიკას, უნარიანად უხამებდნენ ერთმანეთს ბრძოლის სხვადასხვა ფორმას, სულ უფრო განამტკიცებდნენ მუშათა კლასის კავშირს მშრომელთა ფართო მასებთან, რაზმავდნენ მათ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დაამხო მეფის თვითმპყრობელობა, ბოლო მოუღო რომანოვთა დინასტიის სამასწლიან ბატონობას. მაგრამ რუსეთში შექმნილმა თავისებურმა ვითარებამ განაპირობა ორხელისუფლებიანობის, ორი დიქტატურის დამყარება — ბურჟუაზიისა, დროებითი მთავრობის სახით, და პროლეტარიატის და გლეხობისა — რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის სახით, რომელსაც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭო განასახიერებდა.

თებერვლის გადატრიალებაში გადამწყვეტი როლი რევოლუციურმა მასებმა, მუშებმა და ჯარისკაცებმა შეასრულეს, მაგრამ მათ ხელიდან გაუშვეს მოპოვებული გამარჯვება, რომელსაც ბურჟუაზია დაეპატრონა. ეს გარემოება აიხსნებოდა მთელი რიგი მიზეზებით.

რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი წვრილი ბურჟუაზია იყო, გამოცდილებით ვიცი, რომ ხშირად რაიონული რგოლის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, რომელიმე საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში რომ მოდიან, უპირველესად წარმოების ხელმძღვანელს ხვდებიან, ინტერესდებიან ეკონომიკური მაჩვენებლებით, ციფრებით. ხოლო კომუნისტები, რომლებმაც ამ მაჩვენებლების მიღწევაში თავიანთი წვლილი შეიტანეს, ავიწყდებათ და უკეთეს შემთხვევაში პარტიული ორგანიზაციის მდივანს სამეურნეო ხელმძღვანელის სამუშაო კაბინეტში გამოიძახებდნენ ხოლმე.

ჩემი აზრით, ეს ვერ გაზრდის პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების ავტორიტეტს. დღეს პარტიის ლიდერები ოვითონ გვაძლევენ მაგალითს — თვითონ არიან ხალხის შუაგულში, ამიტომაც მასებთან მჭიდრო კავშირი უნდა იყოს ყველა პარტიული მუშაკის სამოქმედო ორიენტირი.

ბ. ჯაბანაძე,
ბორჯომის სანატორიუმ-პანსიონ „ბორჯომის“ ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის კომუნისტი.

ბოლო ორ-სამ ათეულ წელიწადში ჩვენ ბევრი ინერგეს ეკონომიკურ ბერკეტებს, ეკონომიკურ ბერკეტებს ბევრ ადგილას ადგილობრივ ინიციატივებს, ადგილობრივ ინიციატივ

მაქსიმალური დემოკრატიზმი

ბოთავრდება საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების უფლებამოსილებათა კონსტიტუციური ვადა. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და მართლმსაჯულების ორგანოების მორიგი არჩევნები გაიმართება კვირას, 1987 წლის 21 ივნისს.

მომავალ არჩევნებს, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის წელს ეწყობა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. არჩევნებმა ასევე უნდა შეუწყოს ხარი XXVII ყრილობის მოთხოვნათა სულისკვეთებით სოციალისტური დემოკრატიზმის გაღრმავებას, ადგილობრივი სახელმწიფო და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

დემოკრატიზმს, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთება, რომელიც ახალ სფეროებზეა აყვანილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის დოკუმენტებიდან და გადაწყვეტილებებიდან, მაქსიმალურად უნდა იგრძნობოდეს არჩევნების ყველა ეტაპზე. როგორც ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, „პოლიტიკური თვალსაზრისით საქმე ეხება საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმის გაღრმავებას, ამომრჩეველთა უფრო ეფექტურად და რეალურ მონაწილეობას საარჩევნო კამპანიის ყველა სტადიაზე“, მათი მომზადებისა და მოწყობის მთელმა მიმდინარეობამ უნდა უზრუნველყოს სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება-გაფართოების თაობაზე სკკპ XXVII ყრილობის დებულებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზაცია.

სასახლო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული და ქალაქის სასამართლოების სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნები უშუალოდ ეხება მთელ ადგილობრივ ცხოვრებას. მათი მომზადება და მოწყობა ადგილობრივი სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ორგანოების, სამართალდაცვითი ორგანოების მთელი საქმიანობის გაუმჯობესების ქმედითი საშუალება უნდა გახდეს. ადგილობრივი პრობლემები ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მთელი საარჩევნო კამპანიის დროს.

საქმეა, რაც შეიძლება უკეთ გამოვიყენოთ საარჩევნო კამპანია, რათა გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საყოფაცხოვრებო სამსახურების, კომუნალური მეურნეობის, სამედიცინო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა საწარმოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ წინა არჩევნების დროს ამომრჩეველთა მიერ გამოთქმული განაწყენების შესრულებას.

საარჩევნო კამპანიამ ეფექტიანი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა ადამიანების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერებაში, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის, 1987 წლისა და მთელი-ოდ ხუთწლეულის ბრძოლების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში, საბჭოების სესიებზე, შრომითი კოლექტივების წინაშე და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის კრებებზე აღმასრულებელი კომიტეტები უნდა ფარგლონ ანგარიშებით სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მისი აღმასრულებლის, აგრეთვე განყოფილებების, სამმართველოებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა მუშაობის შესახებ.

აპრილის დამლევამდე უნდა მუშაობა ეფუძნებოდეს ამომრჩეველთა ფიზიკურ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა და სახალხო მოსამართლეთა ანგარიშმგებლობა, საარჩევნო კრებებზე, დეპუტატების, მოსამართლეების, საბჭოების აღმასკომების ანგარიშებში პირუთვნელად უნდა განალიზდეს სამეურნეო, სოციალურ, კომუნალურ და სამართლის სფეროებში არსებული საქმის ვითარება. საგულდაგულოდ უნდა აღინუსხოს ამომრჩეველთა ყველა წინადადება და შენიშვნა, მათი აზრი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა საქმიანობის შესახებ, განხორციელდეს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ოპერატიული ღონისძიებანი, უფრო ფართოდ იქნეს ინფორმირებული მოსახლეობა ამ მუშაობის თაობაზე.

საარჩევნო კამპანიის დროს გულდასმით უნდა შემოწმდეს, თუ როგორ ახორციელებენ საბჭოთა ორგანოები „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გადიდებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების მთხოვნების, ამომრჩეველთა განაწყენების, ამომრჩეველთა ინიციატივების, ადგილობრივ ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ, ადამიანურ-ეკონომიკურ, ეკონომიკურ-ეკოლოგიურ ინფორმაციებზე, ტელევიზიისა და რადიოთი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრების ორგანიზაციისა და შინაარსის გაუმჯობესებას. ეს შეხვედრები უნდა მიეწყოს ამომრჩეველთათვის მოსახერხებელ დროს.

უნდა ვეცადოთ, რომ მოეწყოს ამომრჩეველებისა და სახალხო მოსამართლეების კანდიდატების რაც შეიძლება მეტი შეხვედრები, ფართოდ უნდა დავნერგოთ პრაქტიკულად ამ შეხვედრებზე, აგიტპუნქტებსა და ამომრჩეველთა კლუბებში, მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას და შრომითს კოლექტივებში კანდიდატთა არჩევნებისწინა გამოსვლები. ამასთან უნდა აღვნუსხოთ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის გამიზნული ყველა კრიტიკული შენიშვნა და წინადადება.

დიდი ყურადღება უნდა დაეუთმოთ იმს, რომ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები მაღალ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე მოეწყოს. მათი შემადგენლობის განახლების პრინციპის განხორციელებისას ხელახლა მიეცეთ არჩევის რეკომენდაცია იმ სახალხო მსაჯულებს, რომლებმაც გაამართლეს ნდობა და მომზადებული არიან სამართლებრივად.

არჩევნების წარმატება დიდად არის დამოკიდებული საარჩევნო კომისიებისა და აქ მუშაობისათვის შოწვეული აქტივის შეთანხმებულ მუშაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ კენჭისყრის პროცედურის დროს ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოხატვის საიდუმლოებას. ამიტომ საარჩევნო ყუთები უნდა დაიდგას ისე, რომ მათთან მისვლა შეიძლებდეს საიდუმლო კენჭისყრის კაბინის გავლით.

საარჩევნო კრებებზე საფუძვლიანად და ყოველმხრივ უნდა განვიხილოთ ამომრჩეველთა განაწყენები. ამასთან თავი არ უნდა ავარიდოთ ძნელად განსახორციელებელ განაწყენებს. უნდა აღვნუსხოთ ყველაფერი თვალსაზრისი, ამომრჩეველთა განაწყენებს, ეპარრეთ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხების გამო მიღებულ გადაწყვეტილებებს.

არჩევნების მომზადებისა და მოწყობის პერიოდში სრულად უნდა გამოვიყენოთ საარჩევნო პრაქტიკის დემოკრატიზაციის ფართო შესაძლებლობები, რომლებსაც გვანიჭებს მოქმედი კანონმდებლობა. განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების პროცესის სრულყოფას. შრომითი კოლექტივების კრებებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრებების მოწყობის დროს, როგორც წესი, უნდა განვიხილოთ რამდენიმე კანდიდატურა და მათი დასახელების საკითხი გადავწყვიტოთ საჯაროდ, დემოკრატიის დაცვით, ყურადღებით განსაჯოთ მშრომელთა ყველა ალტერნატივული წინადადება; ვეცადოთ იმას, რომ ყველა განსახილველი კანდიდატი ესწრებოდეს და გამოდიოდეს ამ დასახელებას, ვინც არ მუშაობს შრომითს კოლექტივებში ან არ არის დაკავშირებული მათთან.

უნდა უზრუნველვყოთ, რომ დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი კარგად იცნობდნენ მათ, როგორც თანამშრომელს, იცოდნენ მათი საზოგადოებრივი საქმიანობა, აქტიურად უნდა ეწეოდნენ საგიტაციო მუშაობას და წარმოადგენდნენ კანდიდატებს ამომრჩეველებთან შეხვედრებზე.

მნიშვნელოვნად უნდა გავაქტიუროთ დეპუტატობის კანდიდატთა როლი საარჩევნო ღონისძიებებში, ვაძლევდეთ დეპუტატობის კანდიდატებსა და მათს ნდობით აღჭურვილ პირთ საშუალებას უფრო ზშირად გამოდიოდნენ პრესის ფურცლებზე, ტელევიზიითა და რადიოთი.

ამას მოსალო მაშინ მივაღწევთ, თუ მშრომელებს, მოსახლეობას ნათლად ექნებათ წარმოდგენილი საარჩევნო პრაქტიკაში დემოკრატიზმის გაღრმავების არსი, მკაფიოდ განსაზღვრავენ თავიანთ როლსა და ადგილს სიახლეთა განხორციელებაში, იგრძნობენ მათს თანაზიარობას. ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ მათი აქტიურობის გაძლიერებაზე, საუკეთესო კანდიდატურების ფართო განხილვისა და არჩევის უფლების გამოყენებაზე უშუალოდ არის დამოკიდებული საქმის რეალურ ვითარებაზე საბჭოების გაკრენის გაძლიერება.

თანამიმდევრულად უნდა ვებრძოლოთ ფორმალიზმისა და პარალელიზმს, ადგილობრივ ეკონომიკურ-სოციალურ ინფორმაციებს, ეკოლოგიურ, ადამიანურ-ეკონომიკურ, ეკონომიკურ-ეკოლოგიურ ინფორმაციებს, ეკოლოგი

17 აპრილი ● საკავშირო იუწყება

უკსოფოში

ფიქრები • მოვლენები

მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების შესახებ

ვაშინგტონი. ხუთშაბათს გვიან საღამოს კალიფორნიაში პრეზიდენტი რეიგანი თავის რანჩოში შეხვდა სახელმწიფო მდივანს ჯორჯ შულცს, რომელმაც მოახსენა სსრ კავშირში თავისი ვიზიტისა და ბრიუსელში ამერიკის ნატოელ მოკავშირეებთან კონსულტაციების შედეგები. თითქმის საათ-ნახევრის საუბრის შემდეგ რეიგანი და შულცი გამოვიდნენ გარეთ, სადაც მათ ჟურნალისტები ელოდნენ. პრეზიდენტმა წაიკითხა მოკლე განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო:

„მე, ეს-ეს არის ჩავიბარე სახელმწიფო მდივნის შულცის სრული ანგარიში მოსკოვში მისი მოლაპარაკებისა და ჩვენს მოკავშირეებთან კონსულტაციების შესახებ. მან გააცნო მოსკოვს ჩვენი პოზიცია. ჩემთვის ცხადია, რომ ეს ვიზიტი ძალზე სასარგებლო იყო ჩვენი ქვეყნების დიალოგის განსავითარებლად ისეთ დარგებში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ორმხრივი ურთიერთობა, რეგიონალური კონფლიქტები და იარაღის შემცირება.

დიდმნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული შეიარაღების შემცირების დარგში. საჭიროა სიმორის რაკეტების საკითხში ჩვენ დავაახლოვეთ ორი მხარის პოზიციები. მოკავშირეებთან შემდგომი კონსულტაციების მერე, ჩვენ, შეიძლება, ზოგი ახალი იდეა წამოვაყენოთ. მე კვლავ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი მიმდინარე ჟენევის შეთანხმების მიღწევის თაობაზე. წინსვლა მოხდა ბირთვული გამოცდებისა და ქიმიური იარაღის აკრძალვის საკითხებშიც. მოლაპარაკება დეტალური და სასარგებლო იყო სტრატეგიული შეიარაღებისა და კოსმოსში თავდაცვის სისტემების შემცირების სფეროში. იგი დაჩქარდება.

ვაშინგტონში დაბრუნების შემდეგ შევხვდები კონგრესში ორივე პარტიის ხელმძღვანელობას, რათა გავაცნო მათ ამ კვირაში მიღწეული პროგრესი. იმედი მაქვს ამჟამად მიმდინარე პროცესი კვლავაც გაგრძელდება და მ. ს. გორბაჩოვი და მე შევძლებთ ხელი მოვაწეროთ უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ისტორიულ შეთანხმებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის შესახებ. ამის გამო მე პირადად მოვეთათბირები ჩვენს ნატოელ მოკავშირეებს შემდგომი მოლაპარაკებისა და გეგმების შესახებ“.

როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს რეიგანს, ხომ არ მოიმწყვდია საბჭოთა კავშირმა ნატო კუთხეში თავისი ბოლო წინადადებებითო, პრეზიდენტმა უპასუხა, „მე ასე არა მგონიაო“.

შემდეგ სიტყვა აიღო შულცმა, რომელმაც თქვა: „ჩემი აზრით, ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა ბრიუსელში, სადაც მთელი პროცესი განვიხილეთ, და, ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს ძალზე პოზიტიური შესაძლებლობებიც და სხვადასხვა ალტერნატიული გზაც“.

შულცმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები იმსჯელებენ საშუალო სიშორის რაკეტებისადმი მიძღვნილი ბოლო საბჭოთა წინადადებაზე და „საერთო აზრს გამოიტანენ“ ამ საკითხის გამო. იგი აძლიერებდა, სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ნატოში წინააღმდეგობა იყოს ამ პრობლემის თაობაზეო. „უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადამიანები განიხილავენ დიდმნიშვნელოვან წინადადებას, რომელიც საბჭოთა მხარემ წამოაყენა, როცა მოსკოვში ვიყავი. მასზე ასე დაუყოვნებლივ რეაგირება არ შეიძლება“.

რეიგანს ჰკითხეს, შეურიგდა თუ არა იგი იმას, რომ ხელისუფლების სათავეში დარჩენილი ვადის განმავლობაში მას არ ექნება საკმარისი დრო იმისათვის, რომ მოლაპარაკოს ახალ შეთანხმებაზე სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ. რეიგანმა უპასუხა: „მე ამას სულაც არ შევრიგებივარ. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვუდგებით ამ საკითხს და ვეცადინებთ ამ გზითაც“.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ იგი „ელის და იმედს ამყარებს უმაღლესი დონის შეხვედრაზე. მაგრამ ეს კარგად მომზადებული და დაგეგმილი შეხვედრა უნდა იყოს, სადაც მიღწეული იქნება რაიმე შედეგები. უნდა იყოს რაიმე არსებითი შეთანხმება, რათა ეს შეხვედრა თავისი მნიშვნელობის შესაფერისი გახდეს“. რეიგანს სთხოვეს განმარტა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრა არ გაიმართება მანამდე, სანამ არ მომზადდება რაიმე შეთანხმება შეიარაღების კონტროლის დარგში. „არა, მე მხედველობაში მქონდა ის, რომ ასეთი შეხვედრა კარგად უნდა იყოს მომზადებული და მის დროს უნდა იყოს რაიმე არსებითი შეთანხმებებს მიღწევის პერსპექტივა“.

◆ ᲐᲨᲨ

ჩარლზ ჰაიდერის წერილი

ნიუ-იორკი. „აღფრთოვანებული ვარ საბჭოთა ადამიანებით და გულწრფელ მადლობას ვუხდი ჩემს ბრძოლაში მხარდაჭერისა და სოლიდარობისათვის. საბჭოთა ხალხი, რომელმაც კაცობრიობის გადარჩენისათვის გასული ომში 20 მილიონი ქალაქშვილი და ჭაბუკი დაკარგა, დღეს ყოველ ღონეს ხმარობს მშვიდობის შესანარჩუნებლად“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე თანამედროვეობის რომელმე სხვა პოლიტიკურმა ლიდერმა იმისათვის, რომ აშდარიყო ჩემი ოცნება მშვიდობაზე, დედამიწის ყველა ადამიანის მშვიდობაზე“. ასე იწყება წერილი, რომელიც ჩარლზ ჰაიდერმა გამოგზავნა საკლესიის განყოფილებაში თავისი დაბადების დღის წინა დღეს.

18 აპრილს ამ მამაც კაცსა და მოკალეკეს, გამოჩენილ მეცნიერ-ასტროფიზიკოსს 57 წელი უსრულდება. ეს იქნება მისი ბრძოლის 208-ე დღე, ბრძოლისა, რომელშიც ადამიანის სულის სიძლიერე დაუპირისპირდა ბირთვული პოლიტიკის უგუნურობას. მისი გაკრული ხელით დაწერილი წერილიდან ჩანს, რა გაკირვებით გამოპკაზდა ყოველი ასო, გამოხატავდა რა თავის აზრებს იმ მშფოთვარე სამყაროს შესახებ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

◆ ᲡᲣᲓᲐᲜᲘ

გამოააშკარავებს შეთქმულება

ხართუმი. „გაზეთ „ალ-აიამას“ ცნობით, სუდანის ხელისუფლებამ ჩაშალეს სახელმწიფო გადატრიალების ცდა, რომლის მოწყობაზეც ბრალი ედება ზოგიერთ პარტიასა და დაჯგუფებას. შეთქმულნი, ნათქვამია ცხობაში, აპირებდნენ მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეების გადაყენებას და ქვეყანაში დემოკრატიული რეჟიმის მოსპობას. დედაქალაქში დაპატიმრეს შეთქმულების ორგანიზატორები და მოხაწილენი.

ამავე დროს მეორე გაზეთი „ალ-მაიდანი“ ბეჭდავს სუდანის თავდაცვის სახელმწიფო მინისტრის ფაღლალი ბურმა ნასერის განცხადებას, რომელიც მთლიანად უარყოფს ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ ცნობების უტყუარობას.

საინტერესო აღმოჩენა

ნიუ-იორკი. ჩვენი პლანეტის ბირთვის ტემპერატურა რამდენიმე ათასი გრადუსით უფრო მაღალია, ვიდრე წინათ ვარაუდობდნენ და, როგორც ჩანს, მზის ზედაპირის ტემპერატურას აღემატება. ახეთ დასკვნამდე მივიდნენ ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტისა და კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერები. დედამიწის ბირთვის შიგნით არსებული პირობების მოდელირების ექსპერიმენტის დროს მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტემპერატურა იქ 8 880 გრადუსს აღწევს, მაშინ როცა წინათ მიაჩნდათ, რომ იგი 8 700 გრადუსს არ აღემატებოდა.

ექსპერიმენტის შედეგები, მკვლევართა აზრით, საშუალებას იძლევა განსაზღვრონ დედამიწის ქერქში ტექტონიკური ცვლილებების — მატერიკების დრეიფის, მიწისძვრების, აგრეთვე ვულკანის ამოფრქვევის მიზეზები. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მატერიკთა დრეიფს იწვევს მანტიაში მიმდინარე პროცესები, როცა გავარვარებული ქანები ზემოთ იწევა, ხოლო ცივი, პირიქით, ქვემოთ ეშვება.

„ეს კარგ საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რა ხდება ჩვენი პლანეტის წიაღში“, — განაცხადა ექსპერიმენტის ერთ-ერთმა მონაწილემ, გეოფიზიკის პროფესორმა ჯ. ეირენსმა.

მისი აზრით, პლანეტის ბირთვის ესოდენ მაღალი ტემპერატურა დაკავშირებულია არა იქ მიმდინარე რადიოაქტიურ დაშლასთან, არამედ შეკუმშვის პროცესებთან, რაც ჯერ კიდევ პლანეტის ფორმირების სტადიაში დაიწყო დაახლოებით 4,6 მილიარდი წლის წინათ.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

მოიპარეს სტრადივარიუსის ვიოლინო

რომი. იტალიის ქალაქ სალუცოში (პიემონტის ოლქი) მოიპარეს სტრადივარიუსის ვიოლინო. როგორც ანსას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიოლინო შვეიცარიელ მუსიკოსს ეკუთვნოდა, რომელიც სალუცოში ჩავიდა ადგილობრივ სიმუსიკო სკოლაში რამდენიმე მეცადინეობის გასამართავად. ვიოლინო, რომელიც მილიონნახევარი დოლარი ღირს, მუსიკოსს მანქანაში ედო. მეცადინეობიდან რომ დაბრუნდებოდა, მან თავისი ავტომანქანა სულ ერთი წუთით უმეთვალყურეოდ დატოვა სასტუმროს შესასვლელთან. მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა ქურდებისათვის, რომ ავტომანქანაში ჩამსხდარიყვნენ და ვიოლინოს მფლობელის თვალწინ გაქცეულიყვნენ.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

მოითხოვენ პალესტინელთა სამშობლოში დაბრუნებას

● ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ გაიმართა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს ისრაელი ოკუპანტების დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგად გათიშული პალესტინელთა ოჯახების შეერთება. მათ მოსთხოვეს ისრაელის პრემიერ-მინისტრს სამშობლოში დაბრუნების ნება დართონ ყველა პალესტინელს, რომლებიც უკანონოდ გაასახლა საოკუპაციო ადმინისტრაციამ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის ფარგლებს გარეთ.

დემონსტრანტებმა განაცხადეს, რომ თელ-ავივის დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად გათიშული აღმოჩნდა ათასობით პალესტინელთა ოჯახი.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

აუპ-საკადესის ფოტო.

საკადესის ცნობა

17 აპრილს მოსკოვის დროით 5 საათსა და 05 წუთზე საბჭოთა კავშირში სემიპალატინსკის რაიონში მდებარე პოლიგონზე მოეწყო 20-დან 150 კილოტონამდე სიმძლავრის მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება.

ეს გამოცდა მოეწყო სამხედრო ტექნიკის სრულყოფის მიზნით.

საქართველოს ტელევიზიის ერთიანი კვირის პროგრამა

ᲙᲕᲘᲠᲐ

ორშაბათი, 20 აპრილი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მარტივი ჭეშმარიტება“. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ეკონომიკის კურსი. 15.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 16.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.20 — რუსული ენა. 17.50 — სპორტული გადაცემა. 18.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ოსეთი“ (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 65 წლისთავის გამო). 18.45 — კონცერტი. „ოსეთის პანგები“. 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — კონცერტი. „მღერის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი პაატა ბურჭულაძე“. (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის). 21.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი „სიმბირსკული ტრილოგია. 1870-1887 წლები“. ფილმი პირველი. „ვუნმობ ცოცხლებს“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — თეატრალური ფოსტა.

მეორე პროგრამა. 16.20 — მხატვრული ფილმი „ჩემს ბედს დავეძებ“. 17.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გარანტია და პანტაგრუელი“.

სამშაბათი, 21 აპრილი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სტადიონი“. 16.00 — ამბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — შვეიცარიელ მუსიკოსს ეკუთვნოდა, რომელიც სალუცოში ჩავიდა ადგილობრივ სამუსიკო სკოლაში რამდენიმე მეცადინეობის გასამართავად. ვიოლინო, რომელიც მილიონნახევარი დოლარი ღირს, მუსიკოსს მანქანაში ედო. მეცადინეობიდან რომ დაბრუნდებოდა, მან თავისი ავტომანქანა სულ ერთი წუთით უმეთვალყურეოდ დატოვა სასტუმროს შესასვლელთან. მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა ქურდებისათვის, რომ ავტომანქანაში ჩამსხდარიყვნენ და ვიოლინოს მფლობელის თვალწინ გაქცეულიყვნენ. 17.20 — ინგლისური ენა. 17.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აწყვა ჭალა“. 18.25 — „ოსეთის ანბანი“. 18.35 — „ეროვნული ანბანი“. 19.05 — „ბავშვობა“. 19.35 — „ბავშვობა“. 20.05 — „ბავშვობა“. 20.35 — „ბავშვობა“. 21.05 — „ბავშვობა“. 21.35 — „ბავშვობა“. 22.05 — „ბავშვობა“. 22.35 — „ბავშვობა“. 23.05 — „ბავშვობა“. 23.35 — „ბავშვობა“. 24.05 — „ბავშვობა“. 24.35 — „ბავშვობა“.